

გზნა კვარაცხელია

კავკასიის დიდი უპილო

მსოფლიო სახელის მქონე დიდი ქართველი ენათმეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი არნოლდ ჩიქობავა დაიბადა 1898 წლის 26 მარტს, მაშინდელი სენაკის მაზრის სოფელ საჩიქობაოში, ხელმოკლე გლეხის ოჯახში. ბუნებით მომადლებულმა დიდმა ტალანტმა და ცოდნის დაუოკებელმა წყურვილმა გაიყვანა იგი სამეგრელოს ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის ბილიკიდან მსოფლიო მაგისტრალზე.

არნოლდ ჩიქობავამ დაწყებითი განათლება სენაკის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო. შემდეგ წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

ბედნიერი შემთხვევითობა იყო, რომ გამორჩეული ნიჭიერებით დაჯილდოებულ ახალგაზრდას ახლად შექმნილი უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორა დახვდა. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც იგი სწავლას შეუდგა, ლექციებს კითხულობდნენ დიდი ივანე ჯავახიშვილი და მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორც იყვნენ იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე. უმუალოდ მათ ღვაწლთან არის დაკავშირებული ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების აღორძინება და აღმავლობა მეოცე საუკუნეში. „ოქროს ხუთეული“ უწოდა ა. შანიძემ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ხუთ ახალგაზრდას — შ. ამირანაშვილს, კ. ბაქრაძეს, ვ. თოფურბას, ს. ჯანაშიასა და არნ. ჩიქობავას, რომლებიც ასპირანტურაში დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ა. შანიძე წერდა: „არნოლდ ჩიქობავა ჩემი ყოფილი სტუდენტია. ხალასი ნიჭი და დიდი შრომისმოყვარეობა რომ შევატყვე, უნივერსიტეტის გათავებისას ჩემთან დავტოვე ქართული ენის კათედრაზე ასპირანტად. მალე ის ლექციების კითხვას შეუდგა უნივერსიტეტში და სადისერტაციო ნაშრომიც დაიცვა“. ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია, კავკასიაში დაცული პირველი ეროვნული უნივერსიტეტის აღზრდილის მიერ. ეს დაცვა თბილისის უნივერსიტეტში ნამდვილი დღესასწაული იყო. იგი, როგორც გადმოგვცემენ, ცხრა საათს გრძელდებოდა. დისერტანტის ბრწყინვალე პასუხებმა პაექრობა ქართული მეცნიერული აზროვნების ზეიმად აქცია.

უფრო ადრე კი, ოცდახუთი წლის ახალგაზრდამ, მეცნიერული აზროვნების მართლაც რომ გასაოცარი სიმწიფე გამოავლინა, როცა იმხანად დაარსებული „ქართული სამეცნიერო საზოგადოების“ საპროგრამო წერილები გამოაქვეყნა, სადაც ნათლად იყო გამოკვეთილი ქართული ენათმეცნიერების საგანიც, მის წინაშე დასმული ამოცანებიცა და მათი გადაჭრის გზებიც. ძირი-

თადად ამ მეთოდოლოგიური კონცეფციით წარიმართა შემდგომში ქართული ენათმეცნიერების განვითარება, რომლის ფუძემდებლური ეტაპები ისევ არნ. ჩიქობავას სახელთანაა დაკავშირებული.

1941 წ. არნ. ჩიქობავა შეჰყავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველ შემადგენლობაში. 1951 წ., ქართველ მეცნიერთაგან პირველს, მიენიჭა მოსკოვის უნივერსიტეტის ლომონოსოვის სახელობის პრემია, ქართველ მეცნიერთაგან პირველი აირჩიეს ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორად (1960 წ.) და დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრად (1968 წ.). 1971 წ. მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია პირველად, მეორედ — 1990 წ.; 1973 წ. დაჯილდოვდა ი. ჯავახიშვილის მედლით, ხოლო 1981 წ. — მისივე სახელობის პრემიით.

პირველი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არნ. ჩიქობავას არც ერთი დღით არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა. მის კალამს ეკუთვნის თხუთმეტზე მეტი მონოგრაფია, ხუთასამდე გამოკვლევა ქართულ. რუსულ და სხვა ევროპულ ენებზე. ამ ნაშრომთა დიდი ნაწილი ენათმეცნიერების ოქროს ფონდშია შესული.

მეტად ფართო იყო არნ. ჩიქობავას სამეცნიერო ინტერესთა წრე. იგი იკვლევდა თანამედროვე თეორიული მეცნიერების აქტუალურ და კარდინალურ პრობლემებს, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებს, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და მეტყველების კულტურის საკითხებს, „ვეფხისტყაოსნის“ ენასა და სხვ. არ დარჩენილა ამ სფეროთა არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მეცნიერის შესწავლის საგანი არ ყოფილიყო და რომელზედაც მას ახალი სიტყვა არ ეთქვას.

დიდია არნ. ჩიქობავას ღვაწლი ქართული ენის, ქართველურ ენათა და დიალექტთა შესწავლაში. ძველი და ახალი ქართულის აგებულებისა და ლექსიკის საკითხებს მიუძღვნა მან ფუძემდებლური მონოგრაფიები, რომელთაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს, მისი შრომები ფერეიდნულის, მთიულურისა და გარეკახურის შესახებ ქართული დიალექტოლოგიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. არნ. ჩიქობავამ მონოგრაფიულად შეისწავლა ჭანური კილო, შეკრიბა და გამოსცა მისი ტექსტები. არნ. ჩიქობავას შექმნილია ქართველურ ენათა პირველი ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონი. მან დიდი ამაგი დასდო ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციისა და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეს. მისივე ჩამოყალიბებულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის მეცნიერული პრინციპები.

არნ. ჩიქობავა იმთავითვე აღნიშნავდა: „ინდივიდუალურ შრომას, რაც უნდა დიდმნიშვნელოვანი იყოს იგი, არ ძალუძს იმის გაკეთება, რაც მთელი დასების ფართო კოლექტიური შეთანხმებული მუშაობის პროცესში უნდა იქნეს მიღწეული“, და მართლაც, შემდგომში მის მიერ აღზრდილ სპეციალისტთა სწორედ „ფართო კოლექტიური და შეთანხმებული მუშაობით“, არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობითა და მთავარი რედაქტორობით შეიქმნა რვატომიანი მონუმენტური „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. ამგვარი

ლექსიკონის დაბადება ყოველი ერის ცხოვრებაში ისტორიულ მოვლენად აღიქმება, თვით ენისათვის კი ეს ხელთუქმნელი ძეგლის აგებაა. ქართველი მწერლები, ისევე როგორც მთელი საზოგადოებრიობა, განმარტებითი ლექსიკონის გამოცემას უზარმაზარ ეროვნულ-კულტურულ საქმედ მიიჩნევენ. გრიგოლ აბაშიძე წერდა: „ჩვენი ენის ამ დიდებული საგანძურის შექმნას მთელი ჩვენი ხალხი სიხარულით შეხვდა, მაგრამ ლექსიკონის გამოცემა ჩვენი მწერლობისათვის იყო უპირველესი საჩუქარი. ლექსიკონის სქელტანიანი 8 ტომი ქართველ მწერალთა სამაგიდო წიგნად იქცა და დიდხანს დარჩება ასეთად“.

ცნობილი ფრანგი ენათმეცნიერის რენე ლაფონის სიტყვებია: „არა მხოლოდ ქართულ და კავკასიურ ენათა სპეციალისტები, არამედ ყველა, ვინც ქართულად კითხულობს და დაინტერესებულია ქართულით... მადლობას უხდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და დიდ ქართველ ლინგვისტს, რომელიც ამ ეროვნული და მეცნიერული წამოწყების სულისჩამდგმელი იყო“.

არნ. ჩიქობავას თაოსნობითა და ხელმძღვანელობით დაარსდა 1933 წელს კავკასიურ ენათა კათედრა, პირველი და ერთადერთი მაშინდელი საბჭოეთის სინამდვილეში. 1933-34 სასწავლო წელს მისივე თაოსნობით ჩამოყალიბდა თბილისის უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა განყოფილება — ასევე ერთადერთი ქვეყანაში. ამ განყოფილების ქართულსა და რუსულ სექტორებზე ქართველებთან ერთად სწავლობდნენ აფხაზები, ოსები, აგრეთვე, ახალგაზრდები დაღესტნიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ადიღედან, ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთიდან. მან სტუდენტებისთვის შექმნა შესანიშნავი სახელმძღვანელოები — „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, მისი დამსახურებაა, რომ მთის კავკასიურ ენათაგან შვიდი საუნივერსიტეტო სწავლების საგანი პირველად თბილისის უნივერსიტეტში გახდა. 1936 წ. არნ. ჩიქობავამ ჩამოაყალიბა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სადაც ქართველმა კავკასიოლოგებმა შეისწავლეს 30 მთის კავკასიური ენა და სადაც დღემდე კვლევის უშუალო საგანია მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფი. არნ. ჩიქობავას ინიციატივით დაარსდა კავკასიოლოგთა საერთაშორისო ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“, მანვე ჩამოაყალიბა იბერიულ-კავკასიურ ენათა რეგიონალური სამეცნიერო სესიების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც მისი ხელმძღვანელობით 1965 წლიდან ყოველ წელიწადში ერთხელ მართავდა სამეცნიერო სესიებს იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებზე ამ ენათა შესწავლის კავკასიურ ცენტრებში.

არნ. ჩიქობავამ შეასხა ხორცი თავისი მასწავლებლის, ივანე ჯავახიშვილის ოცნებას — ქცეულიყო თბილისი იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის მთავარ ცენტრად. უშუალოდ მისი დამსახურებაა, რომ მის მიერ შექმნილი სამეცნიერო დარგი — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება — დღეს მსოფლიო მეცნიერების პრობლემათა წრეშია. ამ ენათა მკვლევრებს შეხვდებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, ინგლისსა თუ პოლონეთში, გერმანიაში, შვედეთში, ნორვეგიასა და ჰოლანდიაში.

არნ. ჩიქობავას მეცნიერული ძიების ერთი ძირითადი მხარეა ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემატიკა. იგი ენათმეცნიერების ჭეშმარიტად თვალსაჩინო თეორეტიკოსია, მრავალი ემპირიული თეორიის ავტორი, ამასთანავე, ერთიანი ზოგადენათმეცნიერული მოძღვრების შემქმნელი. მისი კონცეფციები მოიცავს ენათმეცნიერების ფუძემდებლურ პრობლემებს, ლინგვისტიკის თითქმის ყველა კარდინალურ საკითხს, ამასთანავე, იძლევა საპროგრამო დებულებებს ენათმეცნიერების მეთოდოლოგიაში. თეორიის ამ სიმაღლეთა წვდომა მხოლოდ დიდი შემოქმედებითი ტალანტისა და მაღალი ღონის სინთეზური აზროვნების მქონე რჩეულთ თუ ძალუძთ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია არნ. ჩიქობავას საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები ენათმეცნიერების თეორიაში. მათ დიდი საგანმანათლებლო როლი შეასრულეს არამარტო სტუდენტი ახალგაზრდობისათვის. როცა იწერებოდა „ზოგადი ენათმეცნიერება“, მთელი საზღვარგარეთული ლინგვისტიკა საბჭოთა კავშირში ფაქტობრივად ორი წიგნით იყო წარმოდგენილი. ეს გახლდათ სოსიურის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსისა“ (1933) და სეპირის „ენის“ (1934) რუსული თარგმანები, ყ. ვანდრიესის იმავე დასახელების წიგნიც კი 1937 წელს გამოვიდა. მხოლოდ ორმოცდაათიანი წლების მიწურულსა და სამოციან წლებში გამოჩნდა ო. ესპერსენის, ჰ. პაულის, ლ. ბლუმფილდის, ნ. ტრუბეცკოის, ა. მარტინესა და სხვათა ნაშრომები. მაშინღა დაიწყო მსჯელობები ლინგვისტურ სკოლათა და მიმართულებათა შესახებ. არნ. ჩიქობავას სახელმძღვანელოში კი (მანამდე სალექციო კურსში, მოკიდებული 1935-1936 აკადემიური წლიდან) უკვე იყო მოცემული არა მარტო ტრადიციული ზოგადენათმეცნიერული თეორიების დეტალური და ღრმა ანალიზი, არამედ თანამედროვე მიმდინარეობათა დახასიათება-შეფასებაც. ეს ეხება როგორც სოსიურის მოძღვრებას, ისე ანტ. მეიეს შეხედულებებს, როგორც სტრუქტურალიზმს (შესაბამისი სკოლების გათვალისწინებით), ისე კ. ფოსლერის ესთეტიზმსა და სხვ.

თეორიული ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილ წიგნებში მიმდინარეობათა ამგვარი მოცულობისა და პრობლემათა ასეთი სიღრმით წვდომა-შესწავლის ნიმუში ძნელად თუ მოიძიება. როგორც აკად. წევრ-კორ. თინათინ შარაძენიძე აღნიშნავს, ზოგადი ენათმეცნიერების ძირითად საკითხებზე არნ. ჩიქობავას მსჯელობა „თავიდანვე თავისუფალი იყო იმ ცალმხრივობისა და წინააღმდეგობათაგან, რომლებიც ბევრ ახალ მიმდინარეობას ახასიათებდა. ამასთან, მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა მან უფრო ადრე დასვა და გააშუქა, ვიდრე დღეს სახელმძღვანელოში ლინგვისტურმა სკოლებმა“. განსხვავებას, მაგალითად, ჰ. პაულის, ფ. დე სოსიურის, ლ. ბლუმფილდის, ჯ. ვანდრიესის, ე. ბენვენისტის, ჯ. ლაიონზისა და სხვათა წიგნებიდან ქმნის მკითხველისათვის მისაწოდებელი ცოდნის იმგვარი ორგანიზაცია, როგორიც შეპირობებულია არნ. ჩიქობავას მოსაზრებით — „უმაღლესმა სასწავლებელმა მსმენელს არა მხოლოდ უნდა შეათვისებინოს გარკვეული ოდენობის ცოდნა, არამედ, რაც მთავარია, **უნდა ასწავლოს მეცნიერული აზროვნება**“. ეს მიზანდასახულება განსაზღვრავს არნ. ჩიქობავას მიერ შექმნილ სახელმძღვანელოთა არა მარტო აგებულებას, არამედ ხასიათსაც — ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით თე-

ორიულ საკითხთა განხილვა უმეტესწილად მეცნიერულ გამოკვლევას წარმოადგენს, რაც, ჩვეულებრივ, ნიშანდობლივი არ არის სახელმძღვანელობისათვის. ავტორი სპეციალისტის ვალდებულებად დასაბუთებული ცოდნის აუცილებლობას მიიჩნევს. მაგრამ დასაბუთებული ცოდნა ენათმეცნიერების თეორიაში, როგორც ეს მისი წიგნებიდან ჩანს, მომიჯნავე მეცნიერებათა — ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის... თეორიების დასაბუთებულ ცოდნასაც გულისხმობს. ამითაც განსხვავდება არნ. ჩიქობავას სახელმძღვანელოები თანამედროვე ანალოგიური კურსებისაგან.

არნ. ჩიქობავამ, როგორც თეორეტიკოსმა ენათმეცნიერმა, განსაკუთრებული აღიარება 50-იან წლებში მოიპოვა. აკადემიკოსი გეგორჯ ჯაუყიანი წერდა: „მე იგი პირველად 1950 წელს ვნახე მოსკოვში, ცნობილი დისკუსიის* შემდეგ, როდესაც მისი სახელი მთელ მსოფლიოში ქუხდა, როდესაც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მისი ყოველი სიტყვა, რომელიც მნიშვნელოვანი და საჭირო იყო ჩვენთვის, იმ დროის ახალგაზრდა ენათმეცნიერთათვის; იგი იქცა ლეგენდად. შემდეგ, როცა ახლოს გავიცანით ერთმანეთი, არასდროს დამცხრალა ჩემი აღფრთოვანება მისი ნათელი გონებით, რკინისებური ლოგიკით, ფართო და მრავალმხრივი ტალანტით. მისი მოქალაქეობრივი გამბედაობით... მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაიყვანა ქართული ენათმეცნიერება საერთაშორისო სარბიელზე, მიაღწია იმას, რომ მის სიტყვას ყველა უსმენდა“.

არაერთხელ აღტაცებულა მსმენელი არნ. ჩიქობავას პოლემიკური ნიჭით, რაც ემყარებოდა საკითხის ყოველმხრივსა და ღრმა ცოდნას, ფართო ერუდიციას, ნათელ აზროვნებას, რკინისებურ ლოგიკას, ჭეშმარიტების შეურყვეველ ერთგულებასა და პიროვნულ გაბედულებას. ამ საჭურვლით შეიარაღებულის დამარცხება შეუძლებელი იყო. აკადემიკოსი ალექსანდრე რობაქიძე იგონებს, თუ როგორ იცავდა ბატონი არნოლდი მოსკოვში ფსიქოლოგიის ინსტიტუტის გეგმას, რომელსაც საკავშირო აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე განიხილავდნენ: „აქ კიდევ ერთხელ გაიელვა არნ. ჩიქობავას პოლემიკურმა ნიჭმა... პირველად ოპონენტს შეუტია, რომ იტყვიან ხოლმე — „ჩიქურ“. უღმობელი თანამიმდევრობით უსვამდა კითხვებს (რომელთაგან ძირითადი იყო, რად უწოდებდა ოპონენტი განწყობის თეორიას იდეალისტურს) და მკაცრად აკრიტიკებდა მის დასკვნებს. ბოლოს ოპონენტს ათქმევინა: „რა ვიცი, ასე ამბობენო“. აქედან მოყოლებული, იმდენ ასპექტში გაანალიზა ოპონენტის ეს „არგუმენტი“, სანამ აკად. ალ. უდალცოვმა რამდენჯერმე არ გაიმეორა, ბატონო არნოლდ, ყველაფერი ნათელიაო. ასე დაიცვა საქვეყნოდ ცნობილმა ენათმეცნიერმა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის გეგმა, არსებითად კი — განწყობის თეორია, რომელმაც საბოლოოდ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა“, — დასძენს ავტორი.

ღებატები სხვაც ბევრი იყო. იმავე მოსკოვში, მაგალითად, ფილოსოფიის საკითხებზე კამათისას არნოლდ ჩიქობავამ, მხილველთა გადმოცემით, ისე მო-

* იგულისხმება გაზეთ „პრავდას“ მიერ ენათმეცნიერების საკითხებზე გამართული თავისუფალი დისკუსია, რომლის შედეგადაც აღიკვეთა „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მონოპოლიზმი — გ. კ.

იმწყვდია ჩიხში სპეციალისტები, რომ გასაქანი არ მისცა მათ. სიმართლის მაძიებელი, გამჭოლი და შეუპოვარი მზერით, იგი ხშირად ძირს ახრევენებდა „ზემოდან მაცქერალ“ თვალს „მეტროპოლიას“. ასეთ ფაქტებს კი მისთვის ჩვეული ღიმილიანი ირონიით შეაფასებდა ხოლმე შემდეგ.

ცნობილ დისკუსიამდე ათი წლით ადრე, 1940 წელს, არნ. ჩიქობავამ ლენინგრადში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ენის, როგორც ენათმეცნიერების საგნის, პრობლემა საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითად ამოცანათა შექმნა“, რომელშიც წარმოდგენილი იყო პრინციპული მოსაზრებანი ზოგადი ენათმეცნიერების საკვანძო პრობლემებზე. ფაქტობრივად ამის გაგრძელება იყო 1950 წლის დისკუსია. მოხსენებამ გარდატეხა შეიტანა რიგი თეორიული საკითხისადმი მიმართებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო მაშინ, როცა საბჭოთური ლინგვისტური ატმოსფერო დამძიმებული ჰქონდა „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ბატონობას, იგი ერთადერთ მარქსისტულ და ჭეშმარიტ კონცეფციად მიიჩნეოდა. სწორედ ამ თეორიის მიმდევრებთან საკამათოდ იყო ბატონი არნოლდი ჩასული რუსეთში. მას ყოველთვის სწამდა, რომ „ჭეშმარიტებას ვინც ეძებს, ჭეშმარიტების უკომპრომისო დამცველიც უნდა იყოს (კომპრომისი მეცნიერებასთან შეუთვისებელია)“. მეცნიერული სიმართლის გარკვევისაკენ მიმართული ბრძოლა ამჯერადაც უკომპრომისო აღმოჩნდა. აკად. ლ. შჩერბას გაოგნებულს უკითხავს, რომელი ევროპული უნივერსიტეტი აქვს დამთავრებულიო. არნ. ჩიქობავას არსად არც ერთი დღე არ უსწავლია საქართველოს გარეთ.

შემთხვევით არ გასჩენია შჩერბას ეს შეკითხვა. არნ. ჩიქობავა მართლაც ევროპული ტიპის მოაზროვნე და მეცნიერი იყო. ეს ვლინდებოდა არა იმდენად იმით, რომ იგი დასავლურ ენებს შესანიშნავად ფლობდა და იყენებდა, რამდენადაც მსჯელობის, აზროვნების, წერის კულტურითა და ცხოვრების სტილით.

„ევროპეიზმის“ არსებით ნიშნად მიაჩნიათ იდეათა დემოკრატია, როგორც პროგრესის ერთადერთი პირობა. ა. სავინიოს „ახალ ენციკლოპედიაში“ ვკითხულობთ: „ევროპას, თუ იგი „ევროპული“ ევროპაა, კარგად ესმის, რომ არავითარი იდეა არ შეიძლება იყოს „მთავარი“, არც ერთი იდეა არ იმსახურებს იმას, რომ ცენტრალურად, ყველაზე მართებულად, ყველაზე ლამაზად, ყველაზე კარგად მიაჩნდეთ... საკმარისია იდეა დადგეს, რომ მაშინვე წარმოიქმნება მისი დინების შემაფერხებელი თრომბი, რომელიც „პროგრესს აკავებს“. „უძრავი“ იდეის გარშემო კი განგრენული სალტე ჩნდება.“

არნ. ჩიქობავა წერს: „... მეცნიერების ზოგადპრინციპული დებულებების ერთიანობა სრულიადაც არ გამორიცხავს სხვადასხვაგვარი კონცეფციების არსებობას, არ გამორიცხავს ენის შესახებ მეცნიერების პრობლემათა სხვადასხვაგვარ გაგებას; სხვადასხვა ენათმეცნიერულ სკოლებს ისევე აქვს არსებობის უფლება მეცნიერებაში ენის შესახებ, როგორც სხვა მეცნიერებაში.“

... წარმოდგენილი მსჯელობა ენათმეცნიერების ძირითად საკითხებზე ჩვენ გვესახება, როგორც ამ საკითხების ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტა, ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი.

როდესაც ენის სპეციალისტი პრეტენზიას აცხადებს „ერთადერთ გადაწყვეტა“

ვეტაზე“, ამით იგი ხელს უწყობს ცალკეულ სპეციალისტთა მონოპოლიის შექმნას, რაც, როგორც ისტორიამ გვაჩვენა, ნაკლებად უპასუხებს ენის შესახებ მეცნიერების განვითარების ინტერესებს“.

არნ. ჩიქობავამ დისკუსიისას მაღალი შეფასება მისცა აკადემიკოს ნ. მარის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიღწევებს კონკრეტულ ენათა კვლევაში, მაგრამ ამავე დროს მეცნიერულად გააკრიტიკა მისი ზოგადენათმეცნიერული კონცეფცია. შემდგომში იგი წერდა: „მეცნიერს ვერაფერს წაართმევს იმას, რაც მას მეცნიერულად ფასეული გაუკეთებია. ასევე: ვერაფერს მიაკუთვნებს იმას, რაც მას არ გაუკეთებია. ეს გარდაუვალი კანონია მეცნიერებისა, მისი ძალა ადრე თუ გვიან თავს იჩენს.“

ეს ეხება ნ. მარსაც, ყველაზე დიდ კავკასიოლოგს, მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, შეუდარებლად მეტი — მაქებელ-მადიდებელი, ყველაზე ცოტა — მკითხველი. კავკასიის მცოდნეთა ვალი იყო და არის, საფუძვლიანად იცნობდნენ ნ. მარის საენათმეცნიერო ნაშრომებს, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ, მათ შესახებ დასაბუთებულად იმსჯელონ“.

ნიშანდობლივია ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერის გეორგ მაიერის სიტყვები: „არნ. ჩიქობავა აღიარებს იმსახურებს აგრეთვე იმიტომ, რომ იგი მეცნიერებაში მონოპოლიის წინააღმდეგ იბრძოდა, რის შედეგადაც შექმნა სინქრონიული და ისტორიულ-შედარებითი ხასიათის მრავალი ნაშრომი. და ბოლოს, მოკლე დროში მან საბჭოთა ენათმეცნიერებას საზღვარგარეთ დაუბრუნა ავტორიტეტი“.

ევროპეიზმის, როგორც კულტურის ფორმის, ფუძემდებელ თვისებად თანამშრომლობას მიიჩნევენ და ევროპეიზმის თვითმყოფადობასაც ამაში ხედავენ.

ამ ნიშნითაც იყო აღბეჭდილი არნ. ჩიქობავას მთელი მოღვაწეობა. არა თავზე წამომდგომი ჭკუის დარიგებითა და ჭკუის სწავლებით, არამედ **თანამშრომელი** საქმიანობითა და ურთიერთობით უკავშირდებოდა იგი ადამიანებს. ვფიქრობ, რომ ამას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მის სხვა ღირსებებს, როგორც არის დიდი ტალანტი, ტიტანური შრომის უნარი, უბადლოდ მრავალმხრივი განსწავლულობა, გასაოცარი ორგანიზებულობა, შეუვალი პრინციპულობა, პიროვნულზე წინ საზოგადოებრივი ინტერესების დაყენება, ასკეტიზმი საკუთარი თავის მიმართ და სათუთი ზრუნვა სხვაზე. შეიძლება სწორედ **თანამშრომლობის** თვისებამ, რომელიც მუდმივ სულიერ მდგომარეობას უფრო ჰგავდა, არა მარტო განსაზღვრა არნ. ჩიქობავას ცხოვრების ეთიკური მხარე, არამედ შემოქმედებითი მხარეც განაპირობა, რომელიც არაჩვეულებრივად პროდუქტიული იყო.

არნ. ჩიქობავას მრავალი მოწაფე ჰყავდა, რომლებმაც ძალიან ბევრი ისწავლეს მასწავლებლისგან. იგი უშურველად გასცემდა მოწაფეთათვის ყველაფერს — დაწყებული სულის საზრდოთი, დამთავრებული ზოგჯერ „პურით არსობისა“. სტუდენტები და ასპირანტები მისგან არა მარტო აზროვნების სტილს ითვისებდნენ, არამედ ცხოვრებისა და მოქალაქეობის წესსაც სწავლობდნენ. მრავალი ცნობილი მეცნიერი, არა მარტო ჩვენში, აღმზრდელად და მოძღვრად მიიჩნევს მას. მისგან კი ვერასოდეს გაიგონებდით, ვინმეზე ეთქვას

„ჩემი მოწაფეაო“. არ უყვარდა, როცა დამსახურებასა და წოდებებს შეახსენებდნენ: „თავს ყოველთვის უმადლესი სასწავლებლის პედაგოგად ვთვლიდი, ესეც საკმარისიაო“, — იტყოდა. კეთილშობილური, არაწვრილმანი რიგორიზმი, რაც მას მოწაფეებთან ურთიერთობისას ახასიათებდა, განვითარების გზაზე შეჩერების უფლებას არ იძლეოდა. ყველაზე შესანიშნავი კი მის მოწაფეებს ისა აქვთ, რომ ისინი განსხვავებულნი არიან; მათ ინდივიდუალობა შეინარჩუნეს.

არნ. ჩიქობავასთვის, როგორც მოწოდებით მოძღვრისათვის, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო სწავლების პროცესი. იგი დაუფასებელ სამსახურს უწევდა ქართულ საშუალო სკოლას როგორც მასწავლებელთა დასახმარებლად გამოქვეყნებული წერილებით ქართული ენის გრამატიკისა და მისი სწავლების საკითხებზე, ისე პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენისა და რედაქციის თვალსაზრისით. ამ მხრივ საკმარისია მოვიგონოთ მისი წერილების სერია „რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?“ ქართული ენის მოჭირნახულე, იგი ქართული ლიტერატურის მოჭირნახულეც იყო. არნ. ჩიქობავას ბევრჯერ აღუნიშნავს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის განსაკუთრებული მისია ჩვენს სკოლაში. სკოლის ბურჯს, განათლების საქმის მედროშეს უწოდებდა იგი მასწავლებელს, ახალგაზრდობის აღმზრდელს, რომლის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნდა ქართული სკოლისა და ქართული კულტურის მომავლისათვის თავდადებული ზრუნვა. იგი წერდა: „ყოველი ახალგაზრდა, ვინც კი სკოლამ ცოდნით აღჭურვა, ძალას მატებს ჩვენს ეროვნულ კულტურას. ასევე ყოველი ახალგაზრდა, რომელსაც ხელთ ატესტატი აქვს, მაგრამ შესაბამისი ცოდნა არ მოეპოვება, **ვალად აწვება** ჩვენს სკოლას, ჩვენს კულტურას. და რაც უფრო მეტია ასეთი ვალი, მით უფრო მძიმე დღეში აღმოჩნდება ჩვენი სკოლა, ჩვენი ეროვნული განათლება... მასწავლებელი დიდი ძალაა, როდესაც მან თავისი უანგარო მოღვაწეობით, ობიექტურობითა და პიროვნულობით მოსწავლის, — პირველ ყოვლისა, მოსწავლის, — პატივისცემა დაიმსახურა“.

არნ. ჩიქობავას პიროვნებაში ორგანულად იყო შერწყმული თავისი ერის სიყვარულისა და სხვა ხალხების პატივისცემის გრძნობა, რასაც მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც მისი მოწაფეები იგონებენ: „იგი ახალგაზრდა კოლეგებს უნერგავდა აზრს, რომ სხვა ენის მკვლევარ მეცნიერს აუცილებლად მოეთხოვება, ენის ღრმა ცოდნასთან ერთად პატივს სცემდეს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხს, იცოდეს ამ ერის წარსული და აწმყო. ზედმიწევნით ერკვეოდეს ადათ-წესებში, ფოლკლორში, რომ სხვა ერის წარმომადგენელთან ურთიერთობისას სიყვარულიანი და ტაქტიანი მოპყრობა გადამწყვეტი ფაქტორია“. „ბუნებრივია, რომ ყოველ ადამიანს უყვარს თავისი ენა, უყვარს დედა-ენა, — ამ სიტყვებით მიმართა არნ. ჩიქობავამ ახალგაზრდობას 1978 წლის აპრილში, — ასევე ბუნებრივია სხვის ენას პატივისცემით ვეკიდებოდეთ: „სხვისი ენა“ აკი ვილაცისათვის დედა-ენაა. რა თქმა უნდა, ვისაც თავისი ენა არ უყვარს, სხვისი ენის პატივისცემას ვერ დაიჩემებს, ის კოსმოპოლიტია და არა ინტერნაციონალისტი“.

არნ. ჩიქობავა ერთადერთი იყო კავკასიაში, ვისაც მინიჭებული ჰქონდა

საქართველოს, აფხაზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტნის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. მაგრამ ამაზე მეტად ფასობდა ის არნახული და არგაგონილი სიყვარული, რომლითაც იგი სარგებლობდა კავკასიელ მთიელებს შორის, რის დასტურად მათი გამონათქვამებიც კმარა:

პროფ. ნურისლამ ჭიდალაევი (დაღესტანი):

„იბერიულ-კავკასიური თეორია მასშტაბურობითა და მიზანდასახულობით უეჭველად დგას მსოფლიოს მნიშვნელოვან თეორიათა და მიმდინარეობათა გვერდით. უშუალოდ მისგან მომდინარეობს კავკასიის ყოველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობა და ამ ხალხების მრავალსაუკუნოვანი ერთიანობის შეგნება, ერთიანობისა, რომლის ფესვებიც ათეული წლების სიღრმეში მიდის.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამაში ვგრძნობთ უდიდეს ჰუმანისტურ საწყისს, რომელიც იბერიულ-კავკასიურ იდეაში ძევს. იბერიულ-კავკასიური თეორია ობიექტურად მოიცავდა უდიდეს მათემატიკურ და შთამავგონებელ იმპულსებს. კავკასიოლოგი მეცნიერების ეროვნული რაზმების წარმოქმნა უშუალოდ გაპირობებული იყო იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების განვითარებით. ამაში ვხედავთ იბერიულ-კავკასიური თეორიის კულტურულ-პრაქტიკულ მნიშვნელობას.

არნ. ჩიქობავას სახით ჩვენ წინაშე მსოფლიო სახელის მქონე ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი, ქართული ეროვნული აზრის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კავკასიის პატრიოტი, მეცნიერ-ინტერნაციონალისტი, მეცნიერ-მებრძოლი, პრინციპული და გაბედული იდეისათვის ბრძოლაში, პატიოსანი და კეთილშობილი მოქალაქე“.

პროფ. ზეინაზ კერაშევა (ადიღე):

„... ჩრდილოკავკასიელი ხალხები — დაღესტნის, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ადიღეს მრავალი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები კარგად იცნობენ არნოლდ ჩიქობავას სახელს.

ბატონმა არნოლდმა დიდი გავლენა მოახდინა ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების არა მარტო ენათმეცნიერების, არამედ საზოგადოდ მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ იგი იყო ამ რესპუბლიკათა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

არ დარჩენილა ჩრდილოეთ კავკასიის არც ერთი ავტონომიური რესპუბლიკა თუ ოლქი, ბატონ არნოლდს იქ რომ მოწაფეები არ ჰყოლოდა.

არნ. ჩიქობავა იყო არა მხოლოდ თეორეტიკოსი-მეცნიერი: მას აღმოაჩნდა იშვიათი უნარი ხალხების გაერთიანებისა და მათი მეგობრობის განმტკიცებისა...“

პროფ. აფთი თიმაევი (ჩეჩნეთ-ინგუშეთი)

„... იგი მარტო საქართველოს შვილი როდი იყო. თვითონ უდიდესი ინტერნაციონალისტი — ყოველი ნაწილით ეკუთვნოდა ყველას. იგი ეკუთვნოდა ჩეჩნეთ-ინგუშეთსაც... ნახური ენათმეცნიერება სამუდამოდ არის დაკავშირებული არნოლდ ჩიქობავას სახელთან“.

პროფ. ტამერლან გურიევი (ჩრდილოეთ ოსეთი):

„არნ. ჩიქობავა ზრუნავდა მეცნიერების დაღვეანდელ დღესა და მომავალზე. იგი მზრუნველობით ზრდიდა ახალ ყლორტებს იმაზე ფიქრით, რომ მათი ნაყოფით ისარგებლებდნენ თაობები. ასე ზრუნავდა იგი, კერძოდ, ოს ენათმეცნიერებზე“.

პროფ. ლ. ჭკადუა (სოხუმი):

„აფხაზური ენათმეცნიერება ყოველთვის იყო არნ. ჩიქობავას ერთი საზრუნავთაგანი. აფხაზური სალიტერატურო ენის მეცნიერულ შესწავლასთან დაკავშირებული არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არ წყდებოდა მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე. თითქმის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი, მის მიერ რომ არ ყოფილიყო მოწონებული.“

ყველას, ვინც მისი ხელმძღვანელობით გაიარა ზოგადი ენათმეცნიერული მომზადება, ახსოვს, რა სიტბოთი, როგორი ზედმიწევნითი ზრუნვით ექცეოდა იგი თავის მოწაფეებს“.

პროფ. ჯამალდინ კოკოვი (ყაბარდო-ბალყარეთი):

„ჩრდილო კავკასიის ხალხმა დაკარგა თავისი დიდი მფარველი. არნ. ჩიქობავას უმდიდრესი სამეცნიერო მემკვიდრეობით კიდევ დიდხანს ისაზრდოებს კავკასიური ენათმეცნიერება. ხოლო პიროვნულმა მომხიბვლელობამ, პრინციპულობამ, მოზარდ თაობაზე ჭეშმარიტად მამობრივმა ზრუნვამ, უდიდესმა მოქალაქეობრივმა სიმამაცემ არნ. ჩიქობავას მოუტანა საყოველთაო სიყვარული“.

პროფ. მუხადინ კუმახოვი (მოსკოვი):

„ბოლო დროს ბევრი ლაპარაკობს საერთო კავკასიური სახლის შექმნის აუცილებლობაზე, მაშინ როდესაც კავკასიური სახლი, მისი ეთნოკულტურული და ლინგვისტური საფუძვლები უკვე შექმნა მთელი კავკასიის უთვალსაჩინოესმა შვილმა — აკადემიკოსმა არნ. ჩიქობავამ“.

1985 წელს, როცა არნოლდ ჩიქობავა გარდაიცვალა, სრულიად საქართველოსთან ერთად მას გლოვობდა მთელი კავკასია, რადგან, როგორც ერთმა მისმა მოწაფეთაგანმა ვაჟა შენგელიამ თქვა, „ის საერთოკავკასიელი მოქალაქე და ჭეშმარიტი პატრიოტი ქართველი იყო“, რომელსაც ჩრდილო კავკასიის ხალხებმა თავიანთი დიდი მფარველი და კავკასიის დიდი შვილი უწოდეს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს არნ. ჩიქობავას განუზომელი ღვაწლი ენათმეცნიერების ინსტიტუტის წინაშე. იგი მისი შექმნის მესვეურთაგანი იყო, მანვე განსაზღვრა ინსტიტუტის საკვლევადიებო მიმართულებები. მისი განუწყვეტელი ზრუნვის შედეგად დაიმკვიდრა ინსტიტუტმა საპატიო ადგილი ქვეყნის მოწინავე სამეცნიერო დაწესებულებათა შორის.

უანგარო იყო მუდამ არნ. ჩიქობავას ზრუნვა ქვეყანაზე. გარდაცვალებამდე წლინახევრით ადრე მან ქართული ხელოვნების მუზეუმს საჩუქრად გადასცა ელენე ახვლედიანის სამი უნიკალური ნახატი (მათ შორის პარიზული პერიოდისა) და ლადო გუდიაშვილის ორი ტილო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ანდერძით დაუტოვა პირადი ბიბლიოთეკა, მომავალი საავტორო ჰონორარი — ძველი სენაკის სკოლასა და საინგილოს ერთ-ერთ ქართულ სკოლას;

ენათმეცნიერების ინსტიტუტს უანდერძა ოქროყანის აგარაკი, სადაც დაკრძალვა ინება თავისი მეუღლისა და მეგობრის თამარ ყიასაშვილის გვერდით, რომლის იშვიათი ადამიანური ხიბლი, სათნოება და სიქველე, თავდადება მეუღლის საქმიანობისათვის ამდიდრებდა და ნათელს ჰფენდა არნ. ჩიქობავას ცხოვრების გზას.

არნოლდ ჩიქობავამ მთელი თავისი ცხოვრებით მამულიშვილობის, მოქალაქეობის, მაღალზნეობრიობისა და კაცთმოყვარეობის მისაბაძი მაგალითი დაგვისახა. მისი პიროვნებისა და მისი ნაღვაწის საზოგადოებრივ-კულტურული მნიშვნელობა დიდი ხანია შორს გასცდა საქართველოს ფარგლებს.

GUCHA KVARATSKHELIA

Great Son of the Caucasus

S u m m a r y

Arn. Chikobava's scholarly, pedagogical and public work is immense. Great talent, the ability of titanic work, unequalled versatile erudition, amazing degree of organization, staunch adherence to principle, asceticism to himself and tender care for others were his personal qualities. "Our wise, dear teacher and kind tutor", — in this way his North Caucasian pupils characterize him.

Arn. Chikobava's activity goes beyond purely linguistic frames and specific geographical boundaries. The world-renowned scholar also had a rare talent of uniting different peoples.